



საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

№ 51 ზესტაფონის საოლქო საარჩევნო კომისია

განკარგულება N67/2020

საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების მე-2 ტურისათვის №21 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქის N21.51.02, N21.51.08, N21.51.14, N21.51.34, N21.49.16, N21.49.09, N21.49.10 და N21.57.15 საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ

2020 წლის 13 და 14 ნოემბერს №51 ზესტაფონის საოლქო საარჩევნო კომისიას წარედგინა №21 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში შემავალი 21.51.02, N21.51.08, N21.51.14, N21.51.34, N21.49.16, N21.49.09, N21.49.10 და N21.57.15 საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების: ირმა ჭულუხაძის, ნინო კიკნაველიძის, გულისა მეფარიშვილის, ნონა თავბერიძის, მარადი ბედინაშვილის, თეა გვეტაძის, ნათია ხერხაძის, თამარ ფუტკარაძისა და სოსო ფორჩხიძის განცხადებები, უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ.

შესაბამისად, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“-ს 21-ე მუხლის „ო“ ქვეპუნქტის, 76¹ მუხლის მე-9 პუნქტის, 77-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და კომისიის წევრთა განცხადებების საფუძველზე, №51 ზესტაფონის საოლქო საარჩევნო კომისია ადგენს:

მუხლი 1. უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდეს საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების მე-2 ტურისათვის №21 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში შემავალ N21.51.02 საუბნო საარჩევნო კომისიის წევრს -ირმა ჭულუხაძეს, N21.51.08 საუბნო საარჩევნო კომისიის წევრს-ნინო კიკნაველიძეს; N21.51.14 საუბნო საარჩევნო კომისიის წევრს-გულისა მეფარიშვილს, N21.51.34 საუბნო საარჩევნო კომისიის წევრს -ნონა თავბერიძეს, N21.49.16 საუბნო საარჩევნო კომისიის წევრს -მარადი ბედინაშვილს, N21.49.09 საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებს -თეა გვეტაძეს და ნათია ხერხაძეს, N21.49.10 საუბნო საარჩევნო კომისიის წევრს - თამარ ფუტკარაძეს, N21.57.15 საუბნო საარჩევნო კომისიის წევრს -სოსო ფორჩხიძეს.

მუხლი 2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში (მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №138) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე

კომისიის მდივნის მ/შ

გ. კახნიაშვილი
ნ. ყიფშიძე
საქართველოს საარჩევნო კომისია
№51
ზესტაფონის
203851509

გიორგი კახნიაშვილი

ნატალია ყიფშიძე